

პრიორიტეტების ფინანსური ანგარიშგების ფორმა

პრიორიტეტის დასახელება	პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	გასული წლის პროგნოზი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	გასული წლის ფაქტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	5 956 300	5 988 300	5 784 219	5 726 476
		სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები	5 956 300	5 988 300	5 784 219	5 726 476

პროგრამის კვარტალური ფინანსური ანგარიშგების ფორმა

(ლარებში)

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა			
პროგრამის კოდი	05 01			
პროგრამის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები	გასული წლის პროგნოზი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	გასული წლის ფაქტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 05 01 01	195 000	195 000	185 280	185 280
<i>ეზოს ფეხბურთი</i>	76 200	76 200	70 955	70 955
<i>Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა</i>	15 000	15 000	14 736	14 736
<i>სპორტული ღონისძიება ვეტერანთა შორის</i>	5 000	5 000	5 000	5 000
<i>ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მხარდაჭერა</i>	23 400	23 400	22 800	22 800
<i>სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის</i>	11 250	11 250	11 250	11 250
<i>აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა</i>	24 000	24 000	23 839	23 839
<i>სასკოლო ოლიმპიადა</i>	35 000	35 000	32 150	32 150
<i>საქალაქო, სახალისო გარბენი (მაისურების შეძენა)</i>	4 500	4 500	4 500	4 500
<i>სხვა ხარჯები (ტენდერის მოსაკრებელი)</i>	650	650	50	50
საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა - 05 01 02	307 700	307 700	306 777	306 777
<i>რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში</i>	30 000	30 000	28 730	28 730
<i>მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში</i>	70 000	70 000	70 000	70 000
<i>საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში</i>	20 000	20 000	19992	19992
<i>აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლავო ფრენბურთში</i>	30 000	30 000	22 700	22 700
<i>ბილიარდში საერთაშორისო ტურნირის „AJARA OPEN 2018“</i>	30 000	30 000	29 233	29 233
<i>საერთაშორისო ჩემპიონატი მოტოკან კარატე დო-ში</i>	50 000	50 000	49 498	49 498
<i>ტურნირი მინი ფეხბურთში გენო-მენაბდის სახელობის თასზე</i>	9 700	9 700	9 699	9 699

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში	18 000	18 000	18 000	18 000
საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში	35 000	35 000	35 000	35 000
საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში	15 000	15 000	23 925	23 925
ბათუმელი სპორტმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა - 05 01 03	50 000	50 000	43 437	43 437
ბათუმელი სპორტმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა	15 000	15 000	9 597	9 597
წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან	15 000	15 000	13 840	13 840
ჯილდო სპორტული მიღწევებისა და დამსახურებებისათვის	20 000	20 000	20 000	20 000
სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა - 05 01 04	4 838 500	4 838 500	4 698 607	4 698 607
საფეხბურთო კლუბი „დინამო ბათუმი“	772 440	772 440	767 714	767 714
სარაგბო კლუბი „ბათუმი“	2 660 700	2 660 700	2 582 635	2 582 635
ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“	122 260	122 260	120 495	120 495
საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“	700 000	700 000	695 860	695 860
ხელბურთის კლუბი „ბათუმი“	428 000	428 000	379 967	379 967
წყალბურთის კლუბის „ბათუმი“	155 100	155 100	151 937	151 937
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" - 05 01 05	397 900	338 100	388 161	337 350
მართვა და ადმინისტრირება	210 600	201 330	208 830	201 068
ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა	174 300	133 770	170 034	133 285
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება	13 000	3 000	9 297	2 997
ა(ა)იპ - ბათუმის საცხენოსნო კლუბი - 05 01 06	164 500	256 300	159 257	152 325
ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	54 900	54 900	54 900	54 900
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	30 750	30 750	30 750	30 750
საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები	36 350	128 150	33 011	26 079
სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა	10 000	10 000	8 818	8 818

<i>ცხენებისათვის საკვები მარაგების შექმნა და სამედიცინო მომსახურება</i>	28 000	28 000	27 470	27 470
<i>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (გარე და სავარჯიშო მანქნის ღობეების შეცვლა)</i>	4 500	4 500	4 308	4 308
ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი	2 700	2 700	2 700	2 700
<i>შრომის ანაზღაურება</i>	2200	2200	2200	2200
<i>შტატგარეშე ანაზღაურება</i>	500	500	500	500
სულ პროგრამის ბიუჯეტი	5 956 300	5 988 300	5 784 219	5 726 476

ქვეპროგრამის კვარტალური ანგარიშის ფორმა

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის დასახელება	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კოდი	05 01 01
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი
<p align="center">ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები</p>	<p>ღონისძიება 1 - ეზოს ფეხბურთი - ქალაქის 10 ადმინისტრაციულ უბანში ჩამოყალიბდა საფეხბურთო გუნდები სამ ასაკობრივ კატეგორიაში სულ 30 გუნდი, რომელშიც გაწვევრიანებულია 2003-2008 წლებში დაბადებული მოზარდები, გუნდებს დაენიშნათ მწვრთნელები, ვარჯიშები მიმდინარეობს ინტენსიურად.</p> <p>2018 წლის მარტი-ივნისი მიმდინარეობს საგაზაფხულო ლიგა, სადაც გამოვლინდება როგორც შეჯიბრის ასევე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. გამარჯვებული გუნდებისათვის მოეწყობა ექსკურსია მესტიაში, ასევე დაჯილდოვდებიან თასებით და სიგელებით. ტურნირი ჩატარდება ადმინისტრაციული უბნების ტერიტორიაზე; საშემოდგომო ლიგა ჩატარდა ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში დაემატა ორი გოგონათა გუნდი გამარჯვებული გუნდები გაემგზავრნენ ბაკურიანში. საერთო ჯამში პროექტში ჩართული იყო 300-მდე მოზარდი, ჩატარდა 200-მდე საშეჯიბრო შეხვედრა და საერთო ჯამში 500 ზე მეტი აქტივობა (ვარჯიში, თამაში), პროექტი წარდგენილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მე-4 კატეგორიის მისაღებად, 2018 წელს პროექტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან მიიღო ერთჯერადი გრანტის 5000 ლარის ოდენობით;</p>
	<p>ღონისძიება 2 - Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა - ქ.ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით 12-13 მაისს ჩატარდა ტურნირი ქუჩის კალათბურთში STREETBALL ტურნირში 22 გუნდი ღებულობდა მონაწილეობას, გამარჯვებული გუნდები და ნომინაციაში გამოვლენილი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ფასიანი ვაუჩერებით; ხოლო მეორე საშემოდგომო ეტაპი ჩატარდა 24-25 ნოემბერს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13 გუნდმა (18 წლამდე ასაკის მოთამაშეები). გამარჯვებულ გუნდებს და საუკეთესო მოთამაშეს გადაეცათ ასევე ფასიანი ვაუჩერები; საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 140-მდე მოყვარულმა სპორტსმენმა და ჩატარდა 50-ზე მეტი აქტივობა;</p>
	<p>ღონისძიება 3 - ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირის ორგანიზება - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირი (ნარდი; შაში; დარტში). 2-8 მარტს ჩატარდა თამაშები, რომელიც მიემდგნა დედის და ქალთა საერთაშორისო დღეს, ასევე ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 20-26 მაისს ს გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და თასები, საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღე 100-ზე მეტმა ვეტერანმა და ჩატარდა 100-ზე მეტი აქტივობა.</p>
	<p>ღონისძიება 4 - სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის; სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის - ღონისძიება ჩატარდა 8-9 დეკემბერს სადაც მონაწილეობა მიიღო 120-ზე მეტმა პარასპორტსმენმა სხვადასხვა ქალაქებიდან. ღონისძიება მოიცავდა ხუთ სახეობას (ნარდი, შაში, დარტსი, მკლავჭიდი და ფეხბურთი. გამოვლენილ გამარჯვებულებს გადაეცათ თასები სიგელები და ფასიანი სასაჩუქრე, ვაუჩერები. მონაწილეობდა საერთო ჯამში 120-ზე მეტი პარასპორტსმენი და ჩატარდა 70-ზე მეტი აქტივობა;</p>

	<p>ღონისძიება 5 - აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხურით სკოლა - ღონისძიების ფარგლებში შეიქმნა გუნდი, რომელშიც ჩართული იყვნენ აუტიზმის სინდრომის მქონე გოგონები და ვაჟები, ბავშვებთან სახალისო ფიზიკურ აქტივობებს ატარებდა ლიცენზირებული 2 მწვრთნელი, ასევე ვარჯიშების პროცესში ჩართული იყვნენ ფსიქოლოგი და თერაპევტი, ვარჯიშები მიმდინარეობდა კვირაში ორჯერ, პროექტის ფარგლებში მოწყო 2 საჩვენებელი ფესტივალი, მონაწილე ბავშვებს გადაეცათ სხვადასხვა საჩუქრები; პროექტის მთავარ მწვრთნელს ზაურ კველიძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან გადაეცა სპეციალური პრიზი მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის; საერთო ჯამში ღონისძიებაში ჩართული იყო 25-ზე მეტი მოზარდი და ჩატარდა 100-ზე მეტი აქტივობა.</p>			
	<p>ღონისძიება 6 - სასკოლო ოლიმპიადა - დეკემბრის ჩათვლით. ღონისძიების ჩატარდა 6 სახეობაში (მინი ფეხბურთი, ქუჩის კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზმრბენი (მძლეოსნობა) ფრენბურთი, მხიარული თამაშები). გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით. ისინი მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ სასკოლო ჩემპიონატში. საერთო ჯამში ღონისძიებაში მონაწილეობდა 40-ზე მეტი სკოლის 500-ზე მეტი მონაწილე და ჩატარდა 300-ზე მეტი აქტივობა</p>			
	<p>ღონისძიება 7 - საქალაქო სახალხო გარბენი. სახალხო გარბენის ფარგლებში სპორტულმა ცენტრმა შესყიდვის სახით განახორციელა 300 (სამასი) ცალი მაისურის შესყიდვა რომელიც სახალხო გარბენში მოხალისე მონაწილეებს გადაეცათ.</p>			
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგები</p>	<p>დაგეგმილი მდგომარეობა</p>		<p>ფაქტობრივი მდგომარეობა</p>	
	<p>უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა</p>		<p>უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა</p>	
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები</p>	<p>დაგეგმილი</p>		<p>ფაქტობრივი</p>	
	<p>ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა</p>		<p>6</p>	
	<p>დასაქმებული მწვრთნელების რაოდენობა</p>		<p>16</p>	
	<p>სამოყვარულო გუნდების (ეზოს, საუნო, სამოყვარულო) რაოდენობა</p>		<p>30</p>	
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგის სტატუსი:</p>	<p>სრულად მიღწეულია</p>	<p>არსებითად მიღწეულია</p>	<p>ნაწილობრივ მიღწეულია</p>	<p>მიუღწეველია</p>
<p>გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია</p>	<p>აუცილებელი რიგი ღონისძიებების გატარება ეზოს ფეხბურთის მიმართულებით, კერძოდ აგრესიული სარეკლამო სტრატეგია საჯარო სკოლების ჩართულობით, რაც ვფიქრობთ აღნიშნულ პროექტში ჩართული მოზარდების რაოდენობას დააბრუნებს ტრადიციულ ნიშნულზე და მეტიც მოხდება რაოდენობის ზრდა; ამ მიმართულების განხორციელება დაევალება პროექტის კოორდინატორებს, მწვრთნელის ჩართულობით; პროექტის სრულყოფისათვის მოვახდენთ მწვრთნელის ანაზღაურების ზრდას, რაც გაზდრის მათ მოტივაციას, ასევე შეჯიბრის ოპტიმიზაციის კუთხით საგაზაფხულო და საშემოგომომ ლიგა ჩატარდება 2 ასაკობრივ კატეგორიაში (2004-2009 წ.დ) ასაკები დაკომპლექტდება უფროსს (2004-2005-2006) და უმცროს (2007-2008-2009) ასაკებში, ასევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კატეგორიზაციის სისტემაში ჩართვა საშუალებას მოგვცემს სპეციალურ ბაზაში ვაკონტროლოთ მოზარდების ჩართულობა სხვა გუნდებში რათა არ მივიღოთ გაორებები;</p>			

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის დასახელება	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა
ქვეპროგრამის კოდი	05 01 02
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი საერთაშორისო ტურნირები:</p> <p>1. რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში. ტურნირი გაიმართა 2018 წლის 7 სექტემბრიდან 10 სექტემბერის ჩათვლით. ტურნირზე მოწვეული იყო საქართველოს ეროვნული სპორტული ტანვარჯიშის ფედერაციისა და ტანვარჯიშის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები.</p> <p>ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლებმა პირებმა გამართეს შეხვედრა საპატიო სტუმრებთან, სადაც განიხილეს ტურნირის მნიშვნელობა და სამომავლო გეგმები.</p> <p>ღონისძიება გაიხსნა საზეიმო კონცერტით, სადაც წარმოჩენილი იყო ქართული ხელოვნება და კულტურა.</p> <p>ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, ლატვიის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, თურქეთის გუნდები. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით და სპეციალური პრიზებით.</p> <p>ტურნირი განხორციელდა აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თანამონაწილეობით.</p> <p>2. მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში. ტურნირი ქალაქ ბათუმში წლებია ხორციელდება. ტურნირის რეიტინგულობა ყოველწლიურად იზრდება, რაც საფუძველი გახდა ტურნირი ასახულიყო „საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციის“ კალენდარში.</p> <p>ტურნირი „საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციის“ დადგენილი სტანდარტებით გახორციელდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველმა და უცხოელმა სპორტსმენებმა (საქართველო, რუსეთი, ესტონეთი, ბელორუსია, გერმანია, უზბეკეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, პოლონეთი, ირანი, უკრაინა) სხვადასხვა წონით კატეგორიებში: 55 კგ, 60 კგ, 63 კგ, 67 კგ, 72 კგ, 77 კგ, 82 კგ, 87 კგ, 97 კგ, 130 კგ. სპორტულ ღონისძიებაზე იმსაჯეს საერთაშორისო კატეგორიის და ოლიმპიური კატეგორიის მსაჯეებმა. გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცა დიპლომები, თასები და მედლები. ტურნირში მიღებული სპორტული შედეგები აისახა სპორტსმენტა რეიტინგულ მონაცემებზე.</p> <p>3. საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში. ტურნირი გაიმართა 29 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით. ტურნირის ორგანიზება დაგეგმილი იყო „საერთაშორისო სპორტული ფედერაციის“ ღონისძიებათა კალენდარით და განხორციელდა საერთაშორისო ფედერაციის დებულების (დადგენილი სტანდარტების) შესაბამისად (WDSF).</p> <p>ტურნირში მონაწილეობა მიიღო მაღალი რეიტინგის მქონე სპორტულმა წყვილებმა. (ესტონეთი, რუსეთი, ესპანეთი, მაკედონია, სლოვენია, უნგრეთი, სომხეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, ისრაელი, პორტუგალია, უკრაინა). ტურნირის მსაჯობდა საერთაშორისო კატეგორიის მქონე მსაჯეები.</p> <p>გამარჯვებული წყვილები, სპორტსმენები დაჯილდოვდნენ, მედლებით, დიპლომებით, და ფასიანი საჩუქრებით. პირველ 6 საპრიზო ადგილზე გაცემულ წყვილს გადაეცა ფულადი პრიზები,</p> <p>ტურნირის თანაორგანიზატორი იყო აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.</p>

პროგრამით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები

<p>4. აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში. ჩემპიონატი გაიმართა 2018 წლის 12-13 სექტემბერს, ქ. ბათუმში არაგანის ტბასთან არსებულ ქვიშის მოედანზე. ჩემპიონატი ჩატარდა „აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ფრენბურთის ასოციაციის“ დებულებით.</p> <p>ტურნირში მონაწილეობა მიიღეს 10 ქვეყნის საუკეთესო რეიტინგის მქონე - 12 მამაკაცთა და 12 ქალთა წყვილმა გუნდებმა (სომხეთი, საქართველო, ლატვია, ბელორუსია, სერბეთი და უკრაინა) საუკეთესო რეიტინგის მქონე ქალთა და მამაკაცთა გუნდებმა. ტურნირის შედეგები აისახა სპორტსმენთა მოქმედ რეიტინგზე. პირველ ადგილზე ვაჟებში გავიდა რუსეთის წყვილი. მეორე და მესამე ადგილზე ბელორუსიის წყვილები. ქალთა წყვილებში პირველი ადგილი ლატვიის წყვილი, მეორე ადგილი რუსეთის წყვილი. მესამე ადგილი ბელარუსიის წყვილი.</p> <p><u>გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედალებითა და სიგელებით.</u></p>
<p>5. ბილიარდში საერთაშორისო ტურნირის „AJARA OPEN 2018“. 2018 წლის 2 ივნისიდან 6 ივნისის ჩათვლით გაიმართა - საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში „AJARA OPEN 2018“ თავისუფალ პირამიდაში. იგი ტრადიციულია და 2015 წლიდან ტარდება. ტურნირის ორგანიზება დაგეგმილი იყო „საერთაშორისო ბილიარდი ფედერაციის (IPC)“ ღონისძიებათა კალენდარით და განხორციელდა საერთაშორისო ფედერაციის დებულების (დადგენილის სტანდარტების) შესაბამისად. ტურნირში მონაწილეობდა ევროპის ქვეყნის პროფესიონალი სპორტსმენები. საპრიზო ფულადი ჯილდო გაიწა 8 გამარჯვებულ სპორტსმენზე. პირველი და მეორე ადგილი აიღო უცხო ქვეყნის სპორტსმენებმა. მესამე ადგილის მფობელი გახდა საქართველოს მოქალაქე ირაკლი სირბილაძე.</p>
<p>6. საერთაშორისო ჩემპიონატი შოტოკან კარატე დო-ში. ჩემპიონატი გაიმართა 1 ივნისიდან 5 ივნისის ჩათვლით. ღონისძიებაში მონაწილეობდა, როგორც საქართველოს, ისე უცხოური სპორტული გუნდები: თურქეთი, ირანი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი.</p> <p>მსოფლიო შოტოკან კარატე დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორმა, მსოფლიო შვიდგზის ჩემპიონის, შავი ქამრის მეცხრე დანის მფლობელმა ხიტოში კასუამ ჩაატარა სასწავლო სემინარი, რომელიც მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო როგორც ბათუმელი ასევე უცხოელი სპორტსმენებისათვის. I – II - III საპრიზო ადგილზე გასულეებს გადაეცათ თასები და მედალები.</p>
<p>7. ტურნირი მინი ფეხბურთში გენო-მენაბდის სახელობის თასზე. საერთაშორისო სპორტული ტურნირი „მინი ფეხბურთში გენო-მენაბდის სახელობის თასზე“ ქ. ბათუმში იმართება 2001 წლიდან და ემდგნება ცნობილი ქართველი ფეხბურთელის - გენო მენაბდის ხსოვნას. 2018 წელს ტურნირი დამსახურებულ სპორტსმენებს (ვეტერანებს) შორის გაიმართა და მონაწილეობდნენ, როგორც საქართველოს ასევე უცხოური საფეხბურთო გუნდები.</p> <p>ფინალში შეხვდნენ ბათუმის „დინამო“ და ლანჩხუთის „გურია“, რომელიც ლანჩხუთის „გურიის“ გამარჯვებით დასრულდა. საპრიზო ადგილებზე გასულეებს გადაეცა სიგელები, მედალები და თასები.</p>
<p>8. საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირი გაიმართა 19 -22 ოქტომბერს, აღნიშნული ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს, ასევე, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის და თურქეთის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი და გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცა პრიზები, დიპლომები და მედალები. სპორტული ტურნირის შედეგები აისახა ბათუმელი სპორტსმენთა რეიტინგულოობაზე, რის საფუძველზე დაკომპლექტდა ჭაბუკთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა. ღონისძიება ჩატარდა მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციის UWW წესდების შესაბამისად.</p>
<p>9. საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში. ქვიშის ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირი დაარსა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2014 წელს. ტურნირის ორგანიზება ხორციელდება აჭარის ფუტზალის და საპლაჟო ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით. ტურნირის ორგანიზატორების მიერ გაიმართა პრესკონფერენცია ბათუმის ანგისის სტადიონის ადმინისტრაციაში. საზოგადოება გაეცნო ღონისძიების პროგრამას და შეჯიბრის განრიგს.</p> <p>ტურნირი მიმდინარეობდა 4 დღის განმავლობაში. ბულვარის ქვიშის მოედანზე (მაგნოლის მოედანი), მონაწილეობდნენ გერმანიიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინის, ასევე საქართველოს სხვადასხვა გუნდებმა. ფინალური შეხვედა გაიმართა რუსეთის „სპარტაკსა“ და გერმანიის „მიუნსტერს“ შორის და დასრულდა რუსეთის გუნდის გამარჯვებით.</p>

	<p>10. საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ტურნირი გაიმართა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ეგიდით 15-22 სექტემბერს. ტურნირში მონაწილეობდა 30-მდე ქვეყნის ასამდე წამყვანი პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი, რომელთა უმეტესი ნაწილი ორასეული მოთამაშეთა რეიტინგშია. უცხოელ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდა ქართველი ჩოგბურთელები. ტურნირის შედეგები აისახა სპორტსმენთა რეიტინგზე და მათ მიეცათ შესაძლებლობა მიიღოთ მონაწილეობა ისეთი მაღალი დონის შეჯიბრებაზე, როგორც არის „დიდი სლემის ტურნირი“.</p> <p>გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ თასები და ფულადი ჯილდოები.</p>			
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგები</p>	<p>დაგეგმილი მდგომარეობა</p>		<p>ფაქტობრივი მდგომარეობა</p>	
	<p>ბათუმში ჩატარებულია საერთაშორისო სპორტული ტურნირები და ხელშეწყობილია ადგილობრივი სპორტსმენების პროფესიული განვითარება</p>		<p>ჩატარებულია საერთაშორისო სპორტული ტურნირები, ადგილობრივი და უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით</p>	
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები</p>	<p>დაგეგმილი</p>		<p>ფაქტობრივი</p>	
	<p>ჩატარებული საერთაშორისო სპორტული ტურნირების რაოდენობა - 10</p>		<p>10</p>	
	<p>ტურნირებში მონაწილე უცხოელი სპორტსმენების რაოდენობა - 674</p>		<p>695</p>	
<p>ტურნირებში მონაწილე ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობა - 842</p>		<p>865</p>		
<p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგი</p>	<p>მიღწეულია</p>	<p>არსებითად მიღწეულია</p>	<p>ნაწილობრივ მიღწეულია</p>	<p>მიუღწეველია</p>
<p>გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია</p>				

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის დასახელება	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის კოდი	05 01 03	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	
პროგრამით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სანგარიშო პერიოდში გამარჯვებულად გამოვლინდა 5 კონკურსანტი. მათ შორის სპორტსმენებმა: ლუკა შანთაძემ, ნიკოლოზ გოგუაძემ და საბა გაბრიჭიძემ მონაწილეობა მიიღეს 12-15 ივლისს ქ. სტამბულში „თურქეთის საერთაშორისო ღია ჩემპიონატი კარატეში“. თითოეული სპორტსმენი დაფინანსდა 1215 ლარით (სასტუმრო, მონაწილეობის საფასური, მგზავრობა);</p> <p>კონკურსანტმა კესარია მგელაძემ მონაწილეობა მიიღო ქალაქ რიგაში 19-30 აგვისტოს ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატში. სპორტსმენს მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოეყო 2952 ლარი (სასტუმრო, მონაწილეობის საფასური);</p> <p>კონკურსანტმა ნოდარ ხაჯიშვილმა მონაწილეობა მიიღო ირლანდიაში ქალაქ დუბლინში 3-7 ოქტომბერს შოტოკან კარატე- დოს მსოფლიო თასის გათამაშებაზე (WSKF). სპორტსმენს მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოეყო 3000 ლარი (სასტუმრო, მონაწილეობის საფასური, ვიზა, ბილეთი);</p> <p>- წლის ბოლოს გამართულ შემაჯამებელ ღონისძიებაზე „წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ნომინაციებში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: „წლის სპორტსმენი“ - ნინო ბაციაშვილი და გიორგი ძინძიბაძე; „წლის მწვრთნელი“ - მერაბ ჭანტურია, ხათუნა გიორგაძე; „წლის გუნდი“ - ა(ა)იპ „საჭადრაკო კლუბი ნონა“ ; „წლის დებიუტანტი“ - თემურ ემირიძე;</p> <p>- წლის ბოლოს გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების „ჯილდო სპორტული მიღწევებისა და დამსახურებებისათვის“ ფარგლებში ასევე დაჯილდოვდა 64 სპორტსმენი.</p>	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	დაგეგმილი მდგომარეობა	ფაქტობრივი მდგომარეობა
	ფინანსურად უზრუნველყოფილნი და სტიმულირებულნი არიან წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები	განხორციელებულია პერსპექტიულ და წარმატებულ ბათუმელ სპორტსმენტთა ფინანსური მხარდაჭერა
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი	ფაქტობრივი
	საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით დაფინანსებულ სპორტსმენტთა რაოდენობა - 5	5
	წლის ბოლოსათვის დაჯილდოებული წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეთა რაოდენობა - 12	12

	წლის განმავლობაში მაღალი სპორტული წარმატების მიღწევისათვის სპორტსმენების დაჯილდოება - 1		1	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია				

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა
ქვეპროგრამის კოდი	05 01 04
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული პროფესიული სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობას.</p> <p>შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო ბათუმი“ - საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1) პლაჟის ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო სპორტუგალიის ქ. ნაზარეში გამართულ „ვერო ვინერს კაპ“- ის გათამაშებაში და საბოლოოდ აიღო მერვე ადგილი.</p> <p>2) დასავლეთ საქართველოს გუნდებს შორის ჭაბუკთა ლიგაზე მოასპარეზე გუნდებს შორის გათამაშების პირველ ეტაპზე 15 და 19 წწ. ასაკის გუნდებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები და მონაწილეობას განაგრძობენ ოქროს ლიგაში. 3) 2004 და 2005 წელს დაბადებულ ბავშვთა გათამაშების ჩემპიონატში დინამო ბათუმის გუნდები სატურნირო ცხრილში იკავებენ პირველ ადგილს. მესამე კვარტალში შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო ბათუმი“ განხორციელდა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება. პლაჟის ფეხბურთის გუნდმა მოიგო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში. 2) პლაჟის ფეხბურთის გოგონათა გუნდმა მოიგო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში. საანგარიშო პერიოდში კლუბში მოღვაწე ჯგუფებმა მიაღწიეს შემდეგ შედეგებს: 1. დინამო- 2 „რეგიონალური ლიგა“ - დაიკავა III ადგილი; 2. U-19 „19 ლიგა“ 19 წლევანდელთა ლიგაში დაიკავა V ადგილი; 3. U-17 „ჭაბუკთა ლიგა“ XVI ადგილი; 4. U-16 (I გუნდი) „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ II ადგილი; 5. U-16 (II გუნდი) „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ III ადგილი; 6. U-15 „ჭაბუკთა ლიგა“ V ადგილი; 7. U-14 (I გუნდი) „როინ კვასხაძის სახელობის თასი“ II ადგილი; 7. U-14 (II გუნდი) „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ VII ადგილი; 8. U-13 (I გუნდი) „გივი ნოდის სახელობის თასი“ I ადგილი; 9. U-13 (II გუნდი) „აჭარა-გურიის ჩემპიონატი“ I ადგილი; 10. U-12 „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ III ადგილი; 11. U-11 „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ VI ადგილი; 12. U-10 „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ I ადგილი;</p>

შპს „სარაგბო კლუბი „ბათუმი“. საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა:

ა) სარაგბო სტადიონის მოვლა-პატრონობა:

- 2018 წლის განმავლობაში სტადიონის მომვლელეებზე გაიცა ხელფასები; შეძენილი იქნა სპორტული მოედნის სატკეპნი და საჩხვლეტი ტექნიკა, საჩხერის ქვიშა 80 კუბი, ტრაქტორი, სასუქები და ნიტროგენული ნაერთები (პესტიციდები) , მოტობლოვის ურიკა, შემასხურებელი ძრავით, განხორციელდა სარაგბო მოედნის კორდით მოწყობა, მოედნის გამოთესვა, ქვიშის შეტანა, ტობდრესინგი, ფოცხის გატარება, ხელოვნური მოედნის სანიაღვრე არხების გაწმენდა და კაუჭუკის გრანულების შეტანა, სტადიონის ტერიტორიის დალაგება.

ბ) ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა:

- 2018 წლის განმავლობაში ადმინისტრაციისა და ტექნიკურ პერსონალზე (სულ 20 კაცი) გაიცა ხელფასები:

- ძირითადი გუნდის მწვრთნელებსა და სპორტსმენებზე (56 კაცი) გაიცა ხელფასები:
- გაწეული იქნა შემდეგი ხარჯები : ოფისის ხარჯი, ბინების ქირის, საკანცელარიო, კომპიუტერული ტექნიკის, ჰიგიენისა და საწმენდი საშუალებების, ფორმების რეცხვის, ღონისძიებებზე სივლეების, თასების და ფასიანი საჩუქრების გადაცემის.
- ჩელენჯ-თასის შესარჩევ ტურნირზე მონაწილეობისათვის გაწეული იქნა ძირითადი გუნდის სამივლინებლო ხარჯი (ტრანსპორტი+სასტუმრო +კვება + წარმომადგენლობით ხარჯი)
- გაწეული იქნა სპორტსმენების (4 მორაგბე) ტრანსფერის ხარჯები:
- გაწეული იქნა სამედიცინო ხარჯი : დაზღვევის, მედიკამენტების, სტრაპების, სპორტული დანამატებისა და ფიზიოთერაპიის ხარჯები;
- გაწეული იქნა ძირითადი გუნდის საწვრთნებისა და მორაგბეების ლიცენზიის ხარჯი, შეკრებების ხარჯი (გასვლის რაოდენობა) : მეორე წრის მოსამზადებელი შეკრება.
- განხორციელდა შიგა სატურნირო მივლინებები (გასვლა) : ძირითადი გუნდისა და ადმინისტრაციის წევრების ქვეყნის შიგნით მივლინებები. (ტრანსპორტი+ კვება+ სასტუმრო)
- შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი და ტანსაცმელი, სავარჯიშო, სპორტული ინვენტარი, ზორობი, შაჩაიბი და სპორტული იაპირიბა მომსახურება).

გ) სარაგბო კლუბის „ბათუმის“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა

- ბავშვთა ასაკობრივი გუნდის მწვრთნელებზე გაიცა ხელფასები;
 - გაწეული იქნა ბავშვთა ჯგუფების სამივლინებო ხარჯები (ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯი).
 - ბავშვთა ჯგუფებისათვის გაწეული იქნა 4 სკოლის ქირავნობის ხარჯი.
- საანგარიშო პერიოდში ძირითადად გუნდმა „ვეროპის კონტინენტის გათამბების ტურნირი“ იათამაშა. კლუბის უმაღლესი გუნდის მორაგბეებმა გიორგი თხილაიშვილმა და ლაშა ხმალაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთა თასის გათამაშებაში, სადაც გიორგი თხილაიშვილი დასახელდა საუკეთესო მოთამაშედ; უმაღლესი ლიგის გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში ირიცხება 6 მორაგბე. ბათუმის აღზრდილი ორი მორაგბე დურმიშხან ჯაბნიძე და გიორგი მენაბდე ირიცხება საქართველოს 20 წლამდე ახალგაზრდულ ნაკრების მოთამაშედ. U18 გამოცხადებული იყო ბათუმის ახალგაზრდა მორაგბეები დასავლეთ საქართველოს ნაკრების შერჩევაზე, ასევე U20 წლამდე 4 მორაგბე .
- საფესტივალო ასაკის ბავშვთა გუნდების 3 კალენდარული ღონისძიება განხორციელდა წლის განმავლობაში . ასევე წლის განმავლობაში ძირითადად ყოველ შაბათ კვირას ტარდება

პროგრამით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები

შპს საკალათბურთო კლუბ „ბათუმი 2010“

საანგარიშო წლის განმავლობაში, კლუბის წარმატებისათვის და მიღწევებისათვის გაიცა ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება 17 პერსონაზე, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება 6 პერსონაზე ხოლო ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობისათვის ასაკობრივი ჯგუფის 1 მწვრთნელის შრომის ანაზღაურება, ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა ბავშვთა რაოდენობა განისაზღვრება 14 ბავშვით.

საანგარიშო პერიოდში გაწეული იქნა შემდეგი ხარჯები; მოწვეული მოთამაშეების მგზავრობის, მოთამაშეების შეძენისათვის ლიცენზიებისა და საწევროს ხარჯები, ასევე, სათამაშო და სატრენაჟორო დარბაზის იჯარის ხარჯი, ასევე შეძენილი და გახარჯულია სამედიცინო მოწყობილობები და ფარმაცევტიული პროდუქტები. კლუბის სპორტსმენებისათვის შეძენილია აგრეთვე სპორული ინვენტარი, სათამაშო ფორმები.

გუნდი დაფინანსდა ქ.თბილისში, ქ.რუსთავეში, ქ.ქუთაისში კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად შიდა სატურნირო მივლინებისათვის. (გაწეული იქნა ტრანსპორტის, მზავრობისა და დღიური ხარჯები). ასევე ადგილზე სპორტული ღონისძიების ორგანიზებისათვის. 2017-18 წლის შედეგებით გუნდი მოხვდა პლეიოფის გათამაშებაში და დაიკავა მე-5 ადგილი.

2018 წლის 28-30 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა ვ.ალთაბაევისა და ა.კილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ ბაქოს, ტრაპიზონის, თბილისის აკადემიისა და ბათუმის გუნდები. გამოვლინდნენ საუკეთესო გუნდები რომლებიც დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით და სიგელებით.

შპს „ფრენბურთის კლუბი ბათუმი“ - საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1) გოგონათა გუნდმა აპრილში გამართულ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დაიკავა მესამე ადგილი. 2) გოგონათა გუნდმა გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონატში მათს ს თვეში დაიკავა პირველი ადგილი. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ გამოცხადდა ანასტასია ფალავანდიშვილი.

მესამე კვარტალში განხორციელდა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თოვლის ფრენბურთში - ელიზაბედ ფალავანდიშვილისა და ნანა წოწონავას წყვილმა დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ნინო სტურუასა და ანა თვაურის წყვილმა მესამე ადგილი. პირველი ქართველი წყვილი, რომელმაც ითამაშა თოვლის ფრენბურთი ევროპის ჩემპიონატზე და მოიპოვა სალიცენზიო ქულები (ევროპის ჩემპიონატი - თურქეთი და ევროპის ტური - ბაკურიანი) გახდა ნანა წოწონავა-ელიზაბედ ფალავანდიშვილის წყვილი.

საქართველოს ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში - მეორე ადგილი დაიკავა ნანა წოწონავა-ელიზაბედ ფალავანდიშვილის წყვილმა. (ქალთა შორის-ეროვნული ჩემპიონატი) საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ახალგაზრდებში საპლაჟო ფრენბურთი პირველი ადგილი დაიკავა ლიზი დიასამიძე-ანასტასია ფალავანდიშვილმა. მესამე ადგილი ქეთი ბერიძე-ნინო მჭავია; საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი-უმაღლესი ლიგა-- ფრენბურთის ქალთა გუნდმა დაიკავა მესამე ადგილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ახალგაზრდებში 2014, 2015 წლებისათვის გოგონათა საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში არიან ჩვენი კლუბის წევრები ანა დიასამიძე და ლიზი ლობჯანიძე, რომლებმაც ითამაშეს ევროპის ჩემპიონატი და ევროლიგა. საქართველოს ნაკრების წევრია აგრეთვე ელიზაბედ ფალავანდიშვილი. საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული ნაკრები შედგება ძირითადად ჩვენი კლუბის გოგონებით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია ხათუნა გიორგაძე. სპორტსმენები: 1. ნინო მჭავია. 2. ქეთი ბერიძე. 3. ანასტასია ფალავანდიშვილი. 4. ლიზი დიასამიძე. 5. ნიკოლი ზახაროვა. 6. სოფო ნანობაშვილი. 7. ნინო ცინცაბაძე. კლუბის წევრებმა წარმატებით იასპარეზეს აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე პოლონეთში.

ფრენბურთის კლუბის ასაკობრივმა ჯგუფმა (ვაჟები) მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში და გავიდნენ პირველ საპრიზო ადგილზე. ამ ჯგუფის სამი სპორტსმენი მერაბ დოლიძე, ლუკა ჭადალიძე და ნიკოლოზ წამალაშვილი აიყვანეს საქართველოს ეროვნულ ახალგაზრდულ ნაკრებში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ ევროპის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჩატარდა ერევანში. ასევე ვაჟთა ჯგუფის ძირითადი შემადგენლობა მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ქვიშის ორნამენტში. სპორტული ნაკრები ასაკობრივი სპორტისათვის

შპს „ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ - საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა;

1. გაიცა ხელფასები შტატთან და შტატარეშე თანამშრომლებზე.
2. გადახდილია საწევრო გადასახადები როგორც საქართველოს ასევე ევროპის ფედერაციებში.
3. 2018 წელს ჩატარდა 28-ე ეროვნული ჩემპიონატი და საქართველოს თასის გათამაშება. ეს ჩემპიონატები ჩატარდა რამდენიმე ტურად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მივლინებული იყო ხელბურთის გუნდი „ბსბ“.
4. 2018 წელს კლუბი გახდა 28-ე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული და მოიპოვა საგზურო ევროპის ფედერაციის თასის გათამაშების პირველი რაუნდის მატჩებში, რომელიც ჩატარდა კოსოვოს ქალაქ პეკში. კლუბი ვერ გადავიდა შემდეგ რაუნდში, მაგრამ დიდი გამოცდილება მიიღო.
5. რაც შეეხება საერთაშორისო ტურნირებს, კლუბი ბათუმი მიწვეული იყო ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე, კლუბმა წარმატებით იასპარეხა ამ ტურნირში და დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.
6. გუდისთვის შექმნილია სპორტული ტანსაცმელი, ბურთები და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, მედიკამენტები.
7. კლუბს იჯარით აღებული აქვს სპორტული დარბაზი, სადაც სისტემატიურად ვარჯიშობენ პროფესიონალი სპორტსმენები.
 - ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებს რაც შეეხება, კლუბში არის 5 ასაკობრივი ჯგუფი ვაჟები და 2 ასაკობრივი ჯგუფი გოგონები.
 - შორის, 2004-05წწ დაბადებულ გოგონათა შორის ჩატარდა ფესტივალის პირველი ტური. კლუბის ბავშვებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.
2. გოგონათა გუნდი (2004-05წწ) მიწვეული იყო ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე. სადაც გვასახელეს და მეორე ადგილი დაიკავეს.
3. 2018 წელს კლუბმა ჩაატარა ოთარ ფადავას საერთაშორისო ტურნირი 2002-03წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის - ჩვენმა აღსაზრდელებმა დაიკავეს პირველი ადგილი.
4. ასევე ჩატარდა აჭარის ჩემპიონატი 2004-05წწ დაბადებულ გოგონათა გუნდებს შორის კლუბის გოგონები აჭარის ჩემპიონები გახდნენ.
5. კლუბის ყველა ასაკობრივი ჯგუფის წევრები ეკიპირებულია და აჭურვილია სპორტული

შპს „წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ - 2018 წლის განმავლობაში კლუბის 30 წევრის ვარჯიშისა და განვითარებისათვის განხორციელდა კლუბის 6 თანამშრომლის შრომის ანაზღაურება, მათ შორის 3 ადმინისტრაციისა და ტექ. პერსონალის და 3 ძირითადი გუნდის მწვრთნელის. კლუბის წევრების მოსამზადებლად შპს „მარდი პლაზამ“ კლუბს გაუწია საცურაო აუზით მომსახურება 10 თვის განმავლობაში. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად კლუბი 4-ჯერ იყო მივლინებული ქ. თბილისში. 2018 წლის აგვისტოს თვეში ქ. ბათუმში კლუბის ორგანიზებით ჩატარდა "პეტრე ბრეუსის თასი", რომელშიც მონაწილეობას იღებდა ქუთაისის, თბილისის, რუსთავისა და აზერბაიჯანის გუნდები და ბათუმის გუნდმა აიღო მე-2 ადგილი. 2018 წელს ასევე განხორციელდა სხვადასხვა საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.

	დაგეგმილი მდგომარეობა	ფაქტობრივი მდგომარეობა
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება
	დაგეგმილი	ფაქტობრივი
	მუნიციპალური საკლუბო გუნდების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ორგანიზაციული განვითარების საშუალოვადიანი (4 წლიანი) გეგმა - 6	-

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე პროფესიონალი სპორტსმენების რაოდენობა - 79		79	
	მუნიციპალური საკლუბო გუნდების ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა - 1066		948	
	ეროვნულ ჩემპიონატებში მუნიციპალური საკლუბო გუნდების მიერ დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა (მინიმუმ) - 2		2	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია				

ქვეპროგრამის კვარტალური ანგარიშის ფორმა

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ "საჭადრაკო კლუბი ნონა"
ქვეპროგრამის კოდი	05 01 05
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "საჭადრაკო კლუბი ნონა"
	<p>კლუბის წევრებმა შეუფერხებლად მიიღეს ოთხივე კვარტალში ყოველთვიური შრომის ანაზღაურება. ინდივიდუალური მომზადება გაიარა WGM მირანდა მიქაძემ, ნორჩმა წევრებმა ირაკლი ახვლედიანმა და ნატა ჯიბუტმა დიდოსტატ დავით ჯოჯუასთან. აჭარის ასაკობრივი ჩემპიონატებში ყველა ასაკობრივ კატეგორიაში წარმატებით ასპარეზობდნენ კლუბი ნონას წევრები. ნინო ბაციაშილმა 75-ე საქართველოს ქალთა პირველობაში (თბილისი, 16-25.02.2018) ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. კლუბმა მარტის თვეში 2 თემატური მასტერ-კლასი და ერთდროული თამაშის სეანსები გამართა საერთაშორისო დიდოსტატებთან ზურაბ აზმაიფრაშვილთან და მირანდა მიქაძესთან. აგრეთვე ჩაატარა სარგამარტო ტურნირი მშობლებისთვის, რომელშიც კლუბი ნონას ნორჩი წევრები მსაჯობდნენ (08.03.2018). გამართა ტურნირები დამწყებთა შორის, აგრეთვე მოსამზადებელი და დაოსტატების ჯგუფის ნორჩ წევრებს შორის (13.03.2018). კლუბმა ორგანიზაცია გაუწია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის "გურამ ჭანტურიას თასი-2018" ვეტერანთა ტურნირის სწრაფ ჭადრაკში (15-18.04.2018) ამავე ღონისძიების ფარგლებში გაიმართა აგრეთვე: მამაკაცთა ბლიც ტურნირიც (16.04.2018), 8 წლამდე ასაკის პატარა მოჭადრაკეებისათვის (16.04.2018), ტურნირი სხვადასხვა ასაკის ნორჩ მოჭადრაკეთა შორის (17.04.2018), შერეული ბლიც ტურნირი ვეტერან და სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა შორის (17.04.2018), ჭადრაკის პოპულარიზაციის ფარგლებში გაიმართა ბათუმის პროკურატურის და საჭადრაკო კლუბი ნონას ღია პირველობა სხვადასხვა ასაკის ნორჩ მოჭადრაკეთა შორის (27.04.2018); გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კლუბმა ნონამ (28-30 აპრილის ჩათვლით), ხულოს სასპორტო სკოლის აღსაზრდელებს ვრცელი საჭადრაკო ღონისძიებით უმასპინძლა.</p> <p>19-27.05.2018 - ეროვნული ნაკრების მწვრთნელის GM დავით ჯოჯუამ გაიმართა მასტერ კლასები. ჩატარდა აგრეთვე ლექცია-სემინარები არბიტრებისათვის, ლექტორი უმაღლესი "ა" კატეგორიის საერთაშორისო არბიტრი მარიკა ჯაფარიძე. საჭადრაკო კლუბმა ნონამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადისთვის საჭადრაკო აქტივობებში (11-12.05.2018 "პირველი სვლა საჭარაკო ოლიმპიადისკენ" მედია ტურნირი "ბათუმი-2018" და ვრცელი საჭადრაკო ღონისძიება ერას მოედანზე (13.05.2-18), მორიგი სვლა ოლიმპიადისკენ - 26 მაისისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ღონისძიება, 100 დღე საჭადრაკო ოლიმპიადამდე (პიაცა 16.0.2018), ხელვაჩაურში გამართული ღონისძიება ბავშვთა ბაღების აღსაზრდელები იღებდნენ მონაწილეობას (27.0.2018).</p>

**ქვეპროგრამებით
გათვალისწინებული
ღონისძიებები, მათი
აღწერა, წარმატებები და
წარმოქმნილი
დაბრკოლებები**

(01.06.2018) ერთდროული თამაშის სენსი ზვიად ქამადაძესთან. 01-12.07.2018 კლუბი ნონას ორგანიზებით ჩატარდა მე-4 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი - 2018". წელს 21 ქვეყნის 400-მდე უძლიერესმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა ფესტივალში (240 ქართველი მონაწილედან 80 მდე აჭარის რეგიონს წარმოადგენდა). ტურნირის ფარგლებში ბათუმს 1500 -ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი სტუმრობდა. "სულ ფესტივალის ფარგლებში 11 ტურნირი ჩატარდა. 10 საჭადრაკო და 1 მინი ფეხბურთში. კლუბი ნონას ოფიციალური საიტიდან პირველად საქართველოში "ა" ტურნირის პარტიების პირდაპირი ჩვენება გაიმართა LIVE პროგრამის უახლესი ვერსიით, ფესტივალის პერიოდში კლუბის საიტზე დაფიქსირდა ვიზიტორთა რეკორდული მაჩვენებელი. 05.07.2018 მეგობრული შეხვედრა გაიმართა ბათუმის კლუბი ნონასა და ბაქოს (აზერბაიჯანი) საჭადრაკო კლუბ "AG AT"-ს (თეთრი ცხენი) შორის. 27.07-06.08.2018წ. კლუბ ნონაში თემატური მასტერ კლასი და ერთდროული თამაშის სენსი (04.08.2018) გიორგი გოგიჩაიშვილთან. 08.08.2018 ერთდროული თამაშის სენსი საერთაშორისო დიდოსტატთან მაქსიმ ნოვიკთან (Novik Maxim GM, 2461). 23.09-04.10.2018 წ. თემატური მასტერკლასი გიორგი გოგიჩაიშვილთან. 08.10.2018 წ. ერთდროული თამაშის სენსი WGM მირანდა მიქაძესთან. 11-19.10.2018 წ. პორტო კარასში, ჰალკიდის (საბერძნეთი) გამართულ ევროპის 23-ე საკლუბო ჩემპიონატზე კლუბი ნონა მეორედ გახდა ვიცე ჩემპიონი. 14-22.11.2018 წ. თბილისი, საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი, მოვიპოვეთ საქართველოს უძლიერესი კლუბის ტიტული, მეოთხედ გავხდით საქართველოს ჩემპიონები. 27.11.2018 წ. საჭადრაკო ტურნირი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში.

01-20.12.2018 წ. პერიოდში გაიმართა კლუბი ნონას ტრადიციული საახალწლო ფესტივალი (7 დამოუკიდებელი ტურნირი) 1. ტურნირი 5-6 წლამდე 07-08.12.2018 2. ასაკობრივი ტურნირი 8 წლამდე ასაკის ჭაბუკებში და გოგონებში 10-11.12.2018, 3. ასაკობრივი ტურნირი 10 წლამდე 10-11.12.2018 აღნიშნულ ტურნირში მსაჯობდნენ ძირითადი ჯგუფის ნორჩი არბიტრები. 4. ასაკობრივი ტურნირი 12 და 14 წლამდე 12-13.12.2018 5. ბლიც ტურნირი მამაკაცთა და ქალთა შორის 09.12.2018. დაწესებული იყო ფულადი ჯილდოები. 6. რაპიდ ტურნირი მამაკაცთა და ქალთა შორის 15-16.12.2018. დაწესებული იყო ფულადი ჯილდოები. 7. საოჯახო ტურნირი 17-18.12.2018 ყველა ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცათ მედლები და დიპლომები. 24.12.2018 ბათუმის მერიის მიერ გამართულ წლის დაჯილდოებაზე კლუბი ნონა სამ ნომინაციაში დასახელდა გამარჯვებულად "წლის სპორტსმენი", "წლის გუნდი", "სპორტული კლუბი კარგი მმართველობა". კლუბი ნონა 2018 წლის საუკეთესო კლუბად აღიარეს. 25.12.2018 კლუბმა გამართა წლის ტრადიციული შემაჯამებელი ღონისძიება. წარმოდგენილი იყო 2018 წლის ვიდუო ანგარიში. აგრეთვე გაიმართა საახალწლო ფესტივალის გამარჯვებულების და წარმატებული კლუბის წევრების დაჯილდოება.

საკვალიფიკაციო ტურნირი: (27-28.02.2018) II-III თანრიგზე- გოგა ლორთქიფანიძე I ადგილი, გაბუნია გიორგი III ადგილი, IV თანრიგზე-სულხან კაკაბაძე I ადგილი, დავით დიდმანიძე II ადგილი, მარიამ კალანდაძე III ადგილი, V თანრიგზე-ვილიამ დიასამიძე I ადგილი, თედო თოიძე II ადგილი, დეა აბულაძე III ადგილი. ნინო ბაციაშვილმა "Tradewise Gibraltar Chess Festival 2018-Masters" ქალთა III ადგილი დაისაკუთრა და შეასრულა მამაკაცთა საერთაშორისო დიდოსტატის წოდების (GM) ნორმა. აჭარის ჩემპიონატი 10, 14, 18 წლამდე (01-09.02.2018): 10 წლამდე: მსხალაძე ალექსანდრე - I ადგილი, გოგიაშვილი გიორგი -III ადგილი, მგელაძე კესარია I ადგილი, აბულაძე ნატალი III ადგილი, 14 წლამდე: გოგა ლორთქიფანიძე - I ადგილი, გაბუნია გიორგი - II ადგილი, 18 წლამდე-დიდმანიძე თენგიზი I ადგილი, ბოლქვაძე თედო II ადგილი. აჭარის ჩემპიონატი 7, 8, 12, 16 წლამდე (15-23.02.2018) 7 წლამდე- კონსტანტინე ლორთქიფანიძე - II ადგილი, თედო თოიძე III ადგილი, ქედელიძე ანეტა I ადგილი, მიქაძე ელისაბედი II ადგილი, სალუქვაძე ანასტასია III ადგილი, 8 წლამდე- ცეცხლაძე შოთა- I ადგილი, გოგრაჭაძე შიო - II ადგილი, გოგიაშვილი დემეტრე - III ადგილი, მგელაძე კესარია I ადგილი, მარიამ კალანდაძე II ადგილი, 12 წლამდე: გაბუნია გიორგი - I ადგილი, 16 წლამდე- ჯიბუტი დიმიტრი - I ადგილი, ლორთქიფანიძე გოგა - II ადგილი. საკვალიფიკაციო ტურნირი: (24-25.02.2018) IV თანრიგზე-გიორგი ჭანტურია I ადგილი, ალექსანდრე მსხალაძე II ადგილი, V თანრიგზე-თოიძე თედო I ადგილი, მათე თოიძე III ადგილი. საქართველოს ქალთა 75-ე ჩემპიონატი (თბილისი, 16-25.02.2018) ნინო ბაციაშვილი I ადგილი, საქართველოს ქალთა ჩემპიონის ტიტული. კლუბი ნონას სარვამარტო ტურნირი (08.03.2018) ცანგული აბულაძე I ადგილი, თამთა მელაძე II ადგილი, თეონა ბოლქვაძე III ადგილი. კლუბი ნონას შიდა ტურნირი დამწყებთა შორის-მიქაძე ელისაბედი I ადგილი, გუნია ლუკა II ადგილი, შავაძე ელენე III ადგილი.

მოსამზადებელი და დაოსტატების ჯგუფი-გოგა ლორთქიფანიძე I ადგილი, სულხან კაკაბაძე II ადგილი, გიორგი ჭანტურია III ადგილი, ნატალი აბულაძე I ადგილი. მირანდა მიქაძემ და ირაკლი ახვლედიანმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში ვაჟთა შორის (ბათუმი, 17-28.03.2018), ნინო ბაციაშვილმა, სალომე მელიამ და მირანდა მიქაძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატში რაპიდსა და ბლიცში (თბილისი, 29.03-02.04.2018). საქართველოს ჩემპიონატი 7 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის (27.04-04.05.2018, თბილისი) ანეტა ქედელიძე 10-ლში მოხვდა. 08,12,16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის (21-31.05.2018, თბილისი) კესარია მგელაძემ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა 8 წლამდე გოგონათა შორის, აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონატის საგზური დაისაკუთრა, ამავე ასაკში საუკეთესო ხუთეულში გავიდა მარიამ კალანდაძე. კესარია მგელაძემ ამოცანების ამოხსნის კონკურსშიც ოქროს მედალი მოიპოვა. ირაკლი ახვლედიანმა IV ადგილი დაიკავა 18 წლამდე ჭაბუკთა შორის (4-14.05.2018, თბილისი). კლუბის ორგანიზებით ჩატარდა მე-4 საერთაშორისო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი-2018" (01-12.07.2018).თენგიზ დიდმანიძემ III ადგილი მოიპოვა ოპენ "ბ" ტურნირში. თედო ბოლქვაძემ III ადგილი ოპენ "ც" ტურნირში. ნატალი აბულაძემ II ადგილი 10 წლამდე გოგონათა შორის. კესარია მგელაძემ I ადგილი 8 წლამდე გოგონათა შორის. 20-29.08.2018 კესარია მგელაძემ იასპარეზა 08 წლამდე ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატში გოგონათა შორის რიგაში (ლატვია) დაიკავა მე-4 ადგილი, საერთაშორისო ფესტივალი " ბათუმი-2018" (21-28.07) 8 წლამდე: 14 წლამდე იაკობაძე უჩა - IV ადგილი, ლორთქიფანიძე გოგა - V ადგილი; 10 წლამდე გოგიაშვილი გიორგი -II ადგილი, აბულაძე ნატალი -II ადგილი; 8 წლამდე გოგიაშვილი დემეტრე -II ადგილი, მგელაძე კესარია - I ადგილი, ქედელიძე ანეტა IV ადგილი. საერთაშორისო ფესტივალი "შავი ზღვის დელფინი" (14-21.08) 8 წლამდე: კალანდაძე მარიამი - III ადგილი, გოგიაშვილი დემეტრე IV ადგილი. 10 წლამდე გოგიაშვილი გიორგი II ადგილი, 12 წლამდე გაბუნია გიორგი III ადგილი, 14 წლამდე ლორთქიფანიძე გოგა- III ადგილი.

	დაგეგმილი მდგომარეობა	ფაქტობრივი მდგომარეობა
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო კლუბის წევრები და ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობასღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში	საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო კლუბის წევრები და ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობასღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი	ფაქტობრივი
	კლუბის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ორგანიზაციული განვითარების საშუალოვადიანი (4 წლიანი) გეგმა	კლუბში დღითიღე მატულობს წევრების რაოდენობა. სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები ინტერესდებიან საჭადრაკო ერთობლივი ღონისძიებების და პროექტების ჩატარებით. ჭადრაკის პოპულარობა მატულობს, ჭადრაკის შესასწავლად მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მასიურად მოდიან სკოლის მაღალკლასელი მოსწავლეები. ჭადრაკი თანდათან ვრცელდება ფართო მასებში. აჭარის და საქართველოს ჩემპიონატებში ნორჩმა წევრებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს. მოიპოვეს საქართველოს და მსოფლიო ჩემპიონატების საგზურები, მონაწილეობა მიიღეს ევროპის ჩემპიონატში. განხორციელდა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში საინტერესო პროექტები, როგორც საქართველოს რეგიონებში, იგეგმება ახალი პროექტები უცხოურ საჭადრაკო სკოლებთან და კლუბებთან. კლუბის ნორჩი წევრები ინტენსიურ წვრთნას გადიან როგორც ძირითად ასევე მოწვეულ სპეციალურ მწვრთნელებთან, რაც წინაპირობაა ტურნირებზე წარმატებული გამოსვლების.
	კლუბის ბაზაზე ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა	250-ზე მეტი
	საბავშვო ბაღებში ორგანიზებულ ჭადრაკის ჯგუფებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა	300 სხვადასხვა ასაკის ბავშვი ჩართულია სტაბილურად, უტარდებათ ჭადრაკის გაკვეთილები (კერძო ბაღში) ერთჯერად საჭადრაკო ღონისძიებების ფარგლებში შეხება გვაქვს დამატებით სხვადასხვა ბაღების 200 - მდე ბავშვთან.
	კლუბის მიერ ორგანიზებული ტურნირების რაოდენობა	38

	საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა, რომელშიც მონაწილობა მიღებულია კლუბის სახელით		12	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის სტატუსი:	სრულად მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია				

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - ზათუმის საცხენოსნო კლუბი	
ქვეპროგრამის კოდი	05 01 06	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზათუმის საცხენოსნო კლუბი	
ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	<p>პროგრამის გათვალისწინებით გასულ წელს შეუფერხებლად გაიცა თანამშრომლებზე ხელფასები, შეძენილი იქნა ცხენებისათვის საკვები მარაგები და წამლები, თავლისათვის ნახერხი, ცხენებისათვის ინვენტარი. თავლის რემონტისათვის შევიძინეთ მასალები. ღია მანქისთვის გაკეთდა ღობე. ქვეპროგრამის ფარგლებში მივიღეთ დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. მათ შორის: 1. ქ. თბილისი 28-30 იანვარი - მარდონ ლაბაშიას თასის გათამაშებაში - I-II ადგილი (2 სპორტსმენი). 2. ქ. სტამბული 14-26 მარტი სტამბულის გათამაშების თასის კლუბ ქემერ ქანტრის შეჯიბრში - I-II-IV ადგილები (2 სპორტსმენი). 3. 19-21 აპრილი, კაჭრეთი შიდა ქართლის ტურნირი დაბრკოლებათა გადალახვაში(3 სპორტსმენი). 4. 21-29 აპრილი საქართველოს თასის პირველობა -II ადგილი. 5. 30 აპრილი - 2 მაისი - ახმეტა, ნაციონალური შეჯიბრი დოღში. 6. 25-26 მაისი სამტრედიის გრანპრის შეჯიბრი - II ადგილი. 7. ქ. ანაკლია 27-29 სექტემბერი ანაკლიის თასის შეჯიბრი, 2 სპორტსმენი III ადგილი. 8. 19-20 ოქტომბერი ქ. სენაკი ეგრისის თასი I ადგილი (2 სპორტსმენი). 8. 25-28 ოქტომბერი ქ. კაჭრეთი საქართველოს პირველობა III ადგილი (2 სპორტსმენი). 9. 18-23 ნოემბერი ქ. ფოთი ვ. მაქაცარიას თასი II ადგილი (2 სპორტსმენი). 10. 21-24 ნოემბერი ქ. ახმეტა ერეკლე მეფის თასი IV ადგილი (1 სპორტსმენი).</p>	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	დაგეგმილი მდგომარეობა	ფაქტობრივი მდგომარეობა
	ხელშეწყობილია საცხენოსნო სპორტის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებში	განხორციელებულია მუნიციპალური საცხენოსნო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობის და საცხენოსნო სპორტის პოპულარიზაციის ღონისძიებები; უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე.
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი	ფაქტობრივი
	1. კლუბის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ორგანიზაციული განვითარების საშუალოვადიანი (4 წლიანი) გეგმა	ორგანიზაციული განვითარება მიმდინარეობს გეგმის მიხედვით
	2. კლუბის ბაზაზე არსებული ცხენების რაოდენობა - 11	12 ცხენი
	3. საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირების რაოდენობა, რომელშიც კლუბმა მიიღო მონაწილეობა - 10	10 ტურნირი
	4. კლუბის ბაზაზე საცხენოსნო სპორტში ჩართული ბავშვების რაოდენობა - 10	7 ბავშვი
5. კლუბის ბაზაზე სპეც. კურსებში ჩართული ბავშვების რაოდენობა -10	2 ბავშვი	

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის სტატუსი:	სრულად მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
<p>გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია</p>				